1981

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

№ 5
მაისი
1981

# უმაღლესი საბჭოს უწყებები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 5 (485) მაისი 1981 წელი

## შინაარსი

### განყოფილება პირველი


88. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. დ. ნ. დვალიშვილის საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრად დანიშვნის შესახებ.

89. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ.

90. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ საქართველოს სსრ კანონის პროექტის თაობაზე.

91. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ საქართველოს სსრ კანონის პროექტის თაობაზე.


### განყოფილება მეორე


92. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

93. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

94. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ს. გ. გეგელაშვილისათვის „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

95. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ა. ბალაბუევისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

96. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

97. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რესპუბლიკის ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

98. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ი. ლოლია-შვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

99. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ნ. სადუნი-შვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

100. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სიღნაღის რაიონულ გაზეთ „კოლმეურნეს“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

101. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

102. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. პ. ვ. ხაბალო-შვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

103. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ე. მ. ჯაფარი-ძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

104. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ქ. გაგრის ზონის გაგრის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

105. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ბ. ნ. კალანტა-როვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

106. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რესპუბლიკის ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება პირველი

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**88** **ამხ. დ. ნ. დვალიშვილის საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრად დანიშვნის შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. დემურ ნოეს ძე **დვალიშვილი** საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 8 მაისი.

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**89** **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

მოწვეულ იქნეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია 1981 წლის 19 ივნისს ქალაქ თბილისში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 15 მაისი.

### დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**90** **ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ საქართველოს სსრ კანონის პროექტის თაობაზე**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ საქართველოს სსრ კანონის პროექტი წინასწარი განხილვისათვის გადაეცეთ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების, კანონმდებლობისა და სოციალისტური კანონიერების საკითხების, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის, მრეწველობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის, სოფლის მეურნეობის მუდმივ კომისიებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიზანშეწონილად ჩაითვალოს, რომ ზემოაღნიშნულმა კომისიებმა ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ საქართველოს სსრ კანონის პროექტი განსახილველად წარუდგინონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგ სესიას.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი Თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1981 წლის 25 მაისი.

## ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

## 91 ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲗᲐᲝᲑᲐᲖᲔ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ საქართველოს სსრ კანონის პროექტი წინასწარი განხილვისათვის გადაეცეთ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების, კანონმდებლობისა და სოციალისტური კანონიერების საკითხების, სოფლის მეურნეობის მუდმივ კომისიებს.

მიზანშეწონილად ჩაითვალოს, რომ ზემოაღნიშნულმა კომისიებმა ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ საქართველოს სსრ კანონის პროექტი განსახილველად წარუდგინონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგ სესიას.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი Თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1981 წლის 25 მაისი.

## ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ

## ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

## 92 „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲥᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘᲡ" ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲬᲝᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

მასობრივი ინფორმაციის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისა და მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესასრულებლად მშრომელთა მობილიზაციისათვის, ბეჭდვითი სიტყვის დღესთან დაკავშირებით მიენიჭოთ საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტი":**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ალფენიძეს** ვლადიმერ ტარასის ძეს — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის თანაშემწეს.

**არობელიძეს** ოთარ სევერიანეს ძეს — გაზეთ „კომუნისტის“ განყოფილების გამგეს.

**ბრაილოვსკაიას** ელისაბედ იოსების ასულს — ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიას“ განყოფილების რედაქტორს.

**გაბრუაშვილს** ზაქრო ზაქარიას ძეს — გურჯაანის რაიონულ გაზეთ „ლენინის გზით“ რედაქტორს.

**გერმესაშვილს** იზაბელა დავითის ასულს — გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ კორესპონდენტს.

**გრიგოლიას** რუსუდან ნიკოლოზის ასულს — ჟურნალ „ეკონომისტის“ პასუხისმგებელ მდივანს.

**დავიდოვს** რემ არმენის ძეს — საქინფორმის განყოფილების გამგეს.

**ებანოიძეს** შოთა ივანეს ძეს — მაიაკოვსკის რაიონულ გაზეთ „წითელი დროშის“ რედაქტორს.

**თავაძეს** კონსტანტინე ექვთიმეს ძეს — საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის პროპაგანდის მთავარი რედაქციის სპეციალურ კორესპონდენტს.

**თურქიას** ოთარ ალექსანდრეს ძეს — საქინფორმის ფოტოქრონიკის დირექტორს.

**კაკაბაძეს** მიხეილ ვასილის ძეს — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ნახატი, თოჯინური და დიაპოზიტიური ფილმების შემოქმედებითი საწარმოო გაერთიანების მთავარ რედაქტორს.

**კაპანაძეს** ოთარ ბაგრატის ძეს — საქინფორმის დირექტორის მოადგილეს.

**კიკნაძეს** ანატოლი პავლეს ძეს — გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ რედაქტორის მოადგილეს.

**კობიძეს** ჰენრიხ იაკობის ძეს — მრავალტირაჟიან გაზეთ „მეტრომშენებლის“ რედაქტორს.

**მაჭავარიანს** გიორგი დავითის ძეს — ჟურნალ „საქართველოს კომუნისტის“ პასუხისმგებელ მდივანს.

**მიქაძეს** ლიანა ალექსანდრეს ასულს — საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის კონსულტანტს.

**მილიუტინს** ბორის მიხეილის ძეს — გაზეთ „კომუნისტის“ საკუთარ კორესპონდენტს.

**სიხარულიძეს** ედუარდ კარლოს ძეს — საქართველოს სსრ გამსახკომის თავმჯდომარის მოადგილეს.

**ფალიანს** კარლო ალექსანდრეს ძეს — საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის სატირულ-იუმორისტულ ჟურნალ „შოლტის“ უფროს რედაქტორს.

**ღვინიანიძეს** შოთა ვიქტორის ძეს — გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ საკუთარ კორესპონდენტს.

**შონიას** აკაკი გრიგოლის ძეს — ჟურნალ „ჭოროხის“ ყოფილ რედაქტორს, პერსონალურ პენსიონერს.

**ჩერქეზიშვილს** ოლღა გიორგის ასულს — გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ კორესპონდენტს.

**ცაგარეიშვილს** ნანული რაჟდენის ასულს — ჟურნალ „საქართველოს ქალის“ განყოფილების გამგეს.

**ხარაზიშვილს** სერგო გრიგოლის ძეს — საქართველოს სსრ პროფსაბჭოს ყოველთვიური საინფორმაციო გამოცემის რედაქტორს.

**ხუციშვილს** გიორგი იოსების ძეს — საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის მდივანს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 5 მაისი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 93 „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მასობრივი ინფორმაციის ორგანოებში ნაყოფიერი მუშაობისათვის და ბეჭდვითი სიტყვის დღესთან დაკავშირებით მიენიჭოთ საპატიო წოდება „**საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი**“:

**გოგოლაშვილს** არჩილ შალვას ძეს — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის ამწყობს.

**ვახტანგაძეს** გივი ალექსანდრეს ძეს — გაზეთ „თბილისის“ ფოტოკორესპონდენტს.

**კალაძეს** იულონ ნესტორის ძეს — გაზეთ „კომუნისტის“ ყოფილ მხატვარს.

**რაშოევას** დარეჯან ნიკოლოზის ასულს — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის საამწყობო საამქროს ოსტატს.

**სიხარულიძეს** გრიგოლ ალექსანდრეს ძეს — ჟურნალ „პარტიული სიტყვის“ პასუხისმგებელ მდივანს.

**ქადაგიძეს** გრიგოლ დიმიტრის ძეს — სასწავლო-საწარმოო გაერთიანება „ფონიჭალის“ ადგილობრივი რადიომაუწყებლობის მთავარ რედაქტორს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭილაშვილს თამარ სოლომონის ასულს — ახალციხის რაიონულ გაზეთ „წითელი დროშის“ განყოფილების გამგეს.

ჯიჯიეშვილს შოთა სამსონის ძეს — თბილისის წიგნის ფაბრიკის საამკინძაო საამქროს უფროს ოსტატს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. **გილაშვილი.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. **ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1981 წლის 5 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 94 ამხ. ს. გ. გეგელოვისათვის „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და ბეჭდვითი სიტყვის დღესთან დაკავშირებით საქართველოს სს რესპუბლიკაში გამომცემლობა „პრავდის“ განყოფილების ინსპექტორსა და გამგეს ამხ. სარქის გალუსტის ძე **გეგელოვს** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი“.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. **გილაშვილი.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. **ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1981 წლის 5 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 95 ამხ. ა. ა. ბალაბუევისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მასობრივი ინფორმაციის ორგანოებში ნაყოფიერი მუშაობისათვის და ბეჭდვითი სიტყვის დღესთან დაკავშირებით ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ მხატვარს ამხ. ალექსი ანატოლის ძე **ბალაბუევს** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი“.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. **გილაშვილი.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. **ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1981 წლის 5 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 96 საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

რესპუბლიკის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ დამსახურებული მელიორატორი"

**ზერაგიას** მარიამ კონსტანტინეს ასულს — ინსტიტუტ „საქსახწყალპროექტის" ჯგუფის ხელმძღვანელს.

**კალატოზიშვილს** ალექსანდრე გიორგის ძეს — თბილისის მექანიკური მორწყვის სამმართველოს წყალსარგებლობის უფროს ინჟინერს.

**კერესელიძეს** არჩილ ვასილის ძეს — ინსტიტუტ „საქსახწყალპროექტის" პროექტის მთავარ ინჟინერს.

**მარწყვიშვილს** ყაფლან ივანეს ძეს — ტრესტ „მტკვარწყალმშენის" № 1 სამშენებლო სამმართველოს უფროსის მოადგილეს.

**ტვილდიანს** ჯემალ გალაქტიონის ძეს — საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს ექსპლუატაციის სამმართველოს უფროსს.

**ფხაკაძეს** პეტრე სამსონის ძეს — საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ამოშრობის განყოფილების გამგეს.

**ქევხიშვილს** გიორგი ალექსის ძეს — ზემო სამგორის სარწყავი სისტემის საექსპლუატაციო უბნის უფროსს.

**ცაბაძეს** გიორგი მიხეილის ძეს — ინსტიტუტ „საქსახწყალპროექტის" მთავარ სპეციალისტს.

„საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული ინჟინერი"

**აბელიშვილს** გიორგი ვლადიმერის ძეს — საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიის ხელმძღვანელს.

**კახაიას** ყარამან ალექსანდრეს ძეს — საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო სამელიორაციო ინსპექციის უფროსს.

**შეყლაშვილს** გივი არსენის ძეს — ტრესტ „ორგწყალმშენის" მთავარ ინჟინერს.

**ჩილაჩავას** ალექსანდრე თევდორეს ძეს — ტრესტ „წყალმშენის" ავტოსატრანსპორტო საწარმოს უფროსს.

**ციციშვილს** თეიმურაზ ზურაბის ძეს — ინსტიტუტ „საქსახწყალპროექტის" განყოფილების უფროსს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მექანიზატორი“

**თურქიაშვილს** ვასილ გიორგის ძეს — საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს № 11 მოძრავი მექანიზებული კოლონის ტრაქტორისტ-ბულდოზერისტს.

**ნაკაშიძეს** დიმიტრი ისაკის ძეს — საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სექტორის გამგეს.

**ფარცვანიას** შალვა ბესარიონის ძეს — საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგის მოადგილეს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული ენერგეტიკოსი“

**გოგიჩაიშვილს** სოფიო ივანეს ასულს — ინსტიტუტ „საქსახწყალპროექტის“ მთავარ სპეციალისტს.

**ერისთავს** ბიძინა ივანეს ძეს — ინსტიტუტ „საქსახწყალპროექტის“ მთავარ სპეციალისტს.

**ჩანჩიბაძეს** ამირან ამბროსის ძეს — საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს აღმოსავლეთ საქართველოს ზონაში მშენებარე ობიექტების დირექციის დირექტორს.

„საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკი“

**ძნელაძეს** ალექსანდრე ისმაილის ძეს — აჭარის ასსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომი“

**მიქელაძეს** ბიძინა ვლადიმერის ძეს — საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ნიადაგ-მელიორაციული ლაბორატორიის გამგეს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული ბუღალტერი“

**ბურდიაშვილს** ელენე გრიგოლის ასულს — საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს მთავარ ბუხჰალტერს.

**გურგენიძეს** გრიგოლ ვიქტორის ძეს — ტრესტ „კოლხიდმშენის“ № 3 მოძრავი მექანიზებული კოლონის მთავარ ბუხჰალტერს.

**კახეთელიძეს** მავრი ამბაკოს ძეს — ტრესტ „წყალმშენის“ მთავარ ბუხჰალტერს.

**ხუჯაბურიძეს** ცავრინა მელიტონის ასულს — საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მთავარ ბუხჰალტერს.

**ჯიბუტს** ელეონორა გალაქტიონის ასულს — საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს № 11 მოძრავი მექანიზებული კოლონის მთავარ ბუხჰალტერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებელი"

**სამხარაძეს** ვახტანგ ივანეს ძეს — საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დანერგვისა და პატენტმცოდნეობის სექტორის ხელმძღვანელს.

**სიჭინავას** ოთარ ანდრიას ძეს — საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ჰიდრომელიორაციული სისტემების ექსპლუატაციის სექტორის გამგეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 19 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 97 რესპუბლიკის ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

რესპუბლიკის ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობის განვითარების დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი"

**გიორგაძეს** ვასილ ნიკოლოზის ძეს — საწარმოო გაერთიანება „საქსამთოქიმმრეწვის" მაღაროთსამმართველო „ქუთბარიტის" დირექტორს.

**გორდელაძეს** დავით სერაპიონის ძეს — ქუთაისის ლითოფონის ქარხნის უფროს ინჟინერს.

**გრძელიძეს** ივანე მიხეილის ძეს — რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის დირექტორს.

**მინდიაშვილს** მაქსიმე ალექსანდრეს ძეს — რუსთავის ქიმიური ქარხნის საწარმოო განყოფილების უფროსის მოადგილეს.

**რობაქიძეს** გიორგი ვლადიმერის ძეს — ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მთავარ მექანიკოსს.

**რუხაძეს** ჭოლა კალისტრატეს ძეს — რუსთავის ქიმიური ქარხნის წარმოების უფროსს.

„საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკი"

**ვაშაძეს** მედეა კლავდიუსის ასულს — რუსთავის ქიმიური ქარხნის მეაპარატეს.

**მახარაძეს** ვიქტორ მოსეს ძეს — საწარმოო გაერთიანება „საქსამთოქიმმრეწვის" მახარაძის მაღაროთსამმართველოს ექსკავატორის მემანქანეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მიქაძეს** რევაზ კაპიტონის ძეს — საწარმოო გაერთიანება „საქსამთო-ქიმმრეწვის“ მალაროთსამმართველო „საქგუმბრინის“ მუშას.

**პისკლიუკოვს** თევდორე ივანეს ძეს — ქუთაისის ლითოფონის ქარხნის მეაპარატეს.

**რობიტაშვილს** მაყვალა ვლადიმერის ასულს — რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის საამქროს ოპერატორს.

**რუსიძეს** ვალერი გერმანეს ძეს — ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის უფროს ოპერატორს.

**ძანაშვილს** უშანგი იოსების ძეს — რუსთავის ქიმიური ქარხნის მეაპარატეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 29 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 98 ამხ. ვ. ი. ლალიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ოთხმოც წელთან დაკავშირებით საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის ქუთაისის სარაიონთაშორისო ორგანიზაციის მდივანი ამხ. ვალერიან ივანეს ძე **ლალიაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 5 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 99 ამხ. გ. ნ. სადუნიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით პერსონალური პენსიონერი გიორგი ნიკოლოზის ძე **სადუნიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 5 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 100 სიღნაღის რაიონულ გაზეთ „კოლმეურნეს“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სოფლის მეურნეობის ამოცანათა გადასაწყვეტად მშრომელთა მობილიზაციისათვის გაწეული აქტიური მუშაობისათვის და პირველი ნომრის გამოსვლის მე-60 წლისთავთან დაკავშირებით სიღნაღის რაიონული გაზეთი „კოლმეურნე“ დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1981 წლის 13 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 101 ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მშრომელთა კომუნისტური აღზრდისათვის გაწეული ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის მე-60 წლისთავთან დაკავშირებით **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის მუშაკები:

**აკოფოვა** რიმა მიხეილის ასული — ლექტორი-ექსკურსიამძღოლი.
**გვენცაძე** ანზორ დიომიდეს ძე — უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.
**კაპანაძე** გიორგი მიხეილის ძე — ლექტორი-ექსკურსიამძღოლი.
**ნიგურიანი** გიული არტემის ასული — ლექტორი-ექსკურსიამძღოლი.
**სოხაძე** მარეხ მიხეილის ასული — ბიბლიოთეკის გამგე.
**ქარუმიძე** ანა მიხეილის ასული — უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი.
**შარიქაძე** ნელი სავლეს ასული — ლექტორი-ექსკურსიამძღოლი.
**ცხვედიანი** მურად ალექსანდრეს ძე — ლექტორთა ჯგუფის ხელმძღვანელი.
**ჯავახაძე** მანანა მიხეილის ასული — ლექტორი-ექსკურსიამძღოლი.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1981 წლის 13 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 102 ამხ. პ. ვ. ხაბალაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე — საგეგმო კომისიის თავმჯდომარე ამხ. პავლე ვლადიმერის ძე **ხაბალაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 13 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 103 ამხ. ე. მ. ჯაფარიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობის, აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ერმალოზ მინას ძე **ჯაფარიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 13 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 104 ქ. გაგრის ზონის გაგრის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

დაარსების მე-60 წლისთავთან დაკავშირებით ქ. გაგრის ზონის გაგრის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობა დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 18 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 105 ამხ. ბ. ნ. კალანტაროვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

შინაგან საქმეთა ორგანოებში ხანგრძლივი უმწიკვლო სამსახურისა და აქტიური საზოგადოებრივი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათი წლისთან დაკავშირებით ამხ. ბორის ნიკოლოზის ძე **კალანტაროვი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 18 მაისი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 106 რესპუბლიკის ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობის განვითარების დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ:

**გიორხელიძე** ქუჩუკი შალვას ძე — საწარმოო გაერთიანება „საქპოლიმერტარას" წყლუკიძის ქარხანა „პოლიმერკონტეინერის" მეაპარატე;

**გოგუაძე** გალინა ერმალოს ასული — მახარაძის სალტეების სარემონტო ქარხნის მუშა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**გურიელიძე** ქორა პანტელეიმონის ძე — რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის მეაპარატე.

**თვალიაშვილი** ნორა ივანეს ასული — რუსთავის ქიმიური ქარხნის მეაპარატე.

**მექუდიშვილი** თამარ ზაქარიას ასული — ახმეტის ბიოქიმიური ქარხნის მეაპარატე.

**მელაძე** დემურ დავითის ძე — ქუთაისის რეზინის ტექნიკურ ნაკეთობათა ქარხნის საამქროს უფროსის მოადგილე.

**მურუსიძე** ზაურ ქრისტეფორეს ძე — ქუთაისის ლითოფონის ქარხნის ელექტროზეინკალი.

**პოტაპოვა** ვალენტინა ივანეს ასული — რუსთავის ქიმიური ქარხნის მეთუნუქე.

**რეხვიაშვილი** პეტრე თადეოზის ძე — საწარმოო გაერთიანება „საქსამთოქიმმრეწვის“ ჩორდის ბარიტის მადაროთსამმართველოს ზეინკალი.

**რუსია** ლამზირა ნიკოლოზის ასული — ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ლაბორანტი.

**ლლონტი** ასია ხუსეინის ასული — ბათუმის ნავთობქიმიური ლაბორატორიის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

**შინჯიკაშვილი** გიორგი არჩილის ძე — საწარმოო გაერთიანება „საქყოფქიმიის“ გამმართველი.

**ხარატიშვილი** გემელ სევერიანეს ძე — ქუთაისის რეზინის ტექნიკურ ნაკეთობათა ქარხნის მწნეხელი-ვულკანიზატორი.

**ჯოჯუა** სამსონ ნიკოლოზის ძე — საწარმოო გაერთიანება „საქსამთოქიმმრეწვის“ გენერალური დირექტორის მოადგილე.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1981 წლის 29 მაისი.